

# რა უნდა ვიცოდეთ მომხმარებლის უფლებების შესახებ

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

# ინფორმაციის მიღების უფლება

**საქონლის ან მომსახურების შეძენამდე, თქვენ გაქვთ უფლება, ქართულ ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად მიიღოთ სრული, უტყუარი ინფორმაცია. მათ შორის:**

მოვაჭრის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი

პროდუქტის არსებითი მახასიათებლები

მწარმოებელი, ფასი და საგარანტიო პირობები

# საქონლის ან მომსახურების უპირობოდ დაბრუნება

მომხმარებლის უფლებაა - ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას მხოლოდ დისტანციურად (ონლაინ) შეძენილ საქონელსა ან მომსახურებაზე - 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

მოვაჭრემ მომხმარებელს სრულად უნდა აუნაზღაუროს გადახდილი თანხა. მათ შორის, მიტანის ხარჯი, არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა.

საქონლის დაბრუნების ხარჯი მომხმარებელმა უნდა გასწიოს.

# უპირობოდ არ ბრუნდება

- თუ საქონელი დამზადებულია ინდივიდუალური შეკვეთით
- თუ საქონელი მალფუჭებადია ან მოკლე ვარგისიანობის ვადა აქვს
- თუ საქონლის დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო
- თუ შეძენილია სპორტული ან კულტურული ღონისძიების ბილეთი
- თუ შეძენილია მედიკამენტი
- თუ საქონლის ან მომსახურების ფასი 30 ლარზე ნაკლებია
- კანონით გათვალისწინებული სხვა გამონაკლისები

# საგარანტიო პირობები

**ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შეძენიდან 2 წლის განმავლობაში, შეგიძლიათ მოითხოვოთ:**

საქონლის უსასყიდლოდ შეცვლა ან შეკეთება

თუ შეცვლა ან შეკეთება შეუძლებელია, ფასის შემცირება ან თანხის დაბრუნება

ნაკლოვანი ნივთის შეძენისას, 6 თვის განმავლობაში, ნაკლის არ არსებობის მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება.

6 თვის შემდეგ, ნაკლის არსებობის მტკიცების ტვირთი მომხმარებლის ვალდებულებაა.

## იყავი ინფორმირებული

## დაიცავი შენი უფლებები

თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები დაირღვა, შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს


15 20

032 2 44 07 70

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”


საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო